ივანე ჯავახიშვილის და სვიმონ ციციშვილის ისტორიული რუკების შედარებითი ანალიზი და კარტოგრაფირება

ანი შეროზია

ელ-ფოსტა: ani.sherozia379@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი #3

ნაშრომი ეხება 1923 წელს ივ ჯავახიშვილისა და 1936 წელს სვიმონ ციციშვილის მიერ შედგენილი ისტორიული რუკების შედარებით ანალიზს და კარტოგრაფირებას. ამ სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ორი ისტორიული რუკის შედარებითი ანალიზი და კარტოგრაფირება. მიზნის ისაღწევად აუცილებელია რამოდენიმე ამოცანის შესრულებ, კონკრეტულად: შედარებითი კარტოგრაფიული ანალიზის მეშვეობით საერთო თუ განსხვავებული ნიშნების თვალსაჩინო გამოვლენა და მათი ანალიზი. რუკაზე წამოდგენილი გეოგრაფიული ობიექტების გეოგრაფიულ-კარტომეტრული მაჩვენებლების დადგენა.

გეოინფორმაციული ანუ ArcGIS-ად წოდებული პროგრამის მეშვეობით სვიმონ ციციშვილის რუკაზე განისაზღვრა საქართველოს სამეფო-სამთავროების სივრცითი განაწილების თავისებურებანი, პროგრამულად დათვლილია თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის ფართობლივი მნიშვნელობები(როგორც ხაზოვანი, ასევე პოლიგონალური ფენის). ასევე ერთმანეთისთვისაა შედარებული საზღვრის ცვალებადობის საკითხი საკვლევი რუკისა და ივანე ჯავახიშვილის რუკაზე. კარტოდიაგრამების მეშვეობით რაოდენობრივი მაჩვენებლებით წარმოდგენილია გეოგრაფიული ობიექტების სივრცითი განაცილების თავისებურებანი როგორც სამეფოების ასევე სამთავროების დონეზე. გამოვლენილია ტოპონიმები და მოხდა მათი დაჯგუფება გარკვეული ნიშან-თვისების მიხედვით. თითოეული ეს შედეგები ვიზუალურად წარმოდგენილია ცხრილებისა და დიაგრამების სახით.